

11 ნერი 7 ნოემბრის მოვლენებიდან



2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებიდან 11 ნერი გავიდა. მაშინ სპეცრაზმა რუსთაველის გამზირსა და რიყეზე აქცია დაშალა, შეიჭრა ტელეკომპანია „იმედში“. მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლდენი გაზი, ხერკეტები, რეზინის ტყვიები, აკუსტიკური იარაღი

და წყლის ჭავრი გამოიყენეს. ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრის და არხის მაუნყებლობა გათიშვის შემდეგ საქართველოში გამოსხადდა საგანგებო მდგომარეობა და დაინიშნა ვადამდერი საპრეზიდენტო არჩევნები. ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვიდს, ზურაბ ადეიშვიდსა და დავით კეზერაშვიდს პატიმრობა 2014 წლის 1 აგვისტოს შეეფარდათ.

დღეს რუსთაველის თეატრში საზოგადოების ნაწილი შეიკრიბება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდსა და 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს გააპროტესტებს.

„დღეს, თითოეული ჩვენგანი დგას რეალობის წინაშე, როდესაც – სააკაშვიდის მოძარადე რეჟიმი კვლავ ცდილობს ხერში ჩაიგდოს ძარაუფლება. ამიტომ, ყველა, ვინც ვაცნობიერებთ ამ საფრთხეს – ვადრებუდი ვართ, დროებით გვერდზე გადავდოთ ყველა საფუძვლიანი პრეტენზია და დავიცვათ ჩვენი მთავარი მონაპოვარი – თავისუფლება.“



7 ნოემბერს 14:00 საათზე, ყველაზე სიმბოლურ დღეს, მოდი რუსთაველის თეატრში თავისუფლების დასაცავად!“, – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები, საზოგადოება „მე ვიცავ თავისუფლებას“ წარმომადგენლები.

საზოგადოებამ – „მე ვიცავ თავისუფლებას“ რამდენიმე დღის წინ მიმართვა გაავრცელა, რომლის ხელმოწერების განცხადებითაც, შეკრებაზე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ.

ამასთან, 16:00 საათზე, რუსთაველის გამზირზე სახადხო მოძრაობა „არა ნაციზმს“ მშვიდობიან მსვლელობას – „გვახსოვს 7 ნოემბერი“ გამართავს.